

ინვესტიციის თანამედროვე თეორიები და თავისებურებები

თეორიული პრობლემები, რომლებიც ეკონომიკურ პროცესში ინვესტიციების როლს და საინვესტიციო საქმიანობისთვის აუცილებელი პირობებისა და მექანიზმების ფორმირებას უკავშირდება, ოდითგანვე აინტერესებდათ ეკონომისტებს. ანტიკური მკვლევრების ინვესტიციების განხილვისადმი მათი მიდგომები მჭიდროდ უკავშირდებოდა საზოგადოებაში ფულის ფუნქციებს, მათი დაგროვებისა და გამოყენების ხერხებსა და მიზნებს. ინვესტიციების არსის თეორიული გააზრების მცდელობები, მართალია, არასრული და არასისტემური იყო, მაგრამ ეკონომიკური აზრის შემდგომი ევოლუციის პროცესში მათ სულ უფრო გაშლილი კონცეპტუალური განვითარება პოვეს მომდევნო თაობის ეკონომისტების ნაშრომებში.

ინვესტიციების თეორიის ძირითადი პრინციპების თავდაპირველი ეტაპი მერკანტილისტებს უკავშირდება, რომელთა შორის მნიშვნელოვანი იყო თ. მანის, დ. იუშის, დ. ლოს, ჟ. კოლბერის, ლ. ზეკენდორფის, ი. ბუჰერის, ფ. გორნიგის თეორიული მიდგომები. მერკანტილისტებმა პირველებმა დაასაბუთეს იმ პირობების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, რომელიც საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებას და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფდა. მათი მეცნიერული მსოფლმხედველობის შესაბამისად ფულის შემოდინების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს საერთაშორისო ვაჭრობის დარგში აქტიური პროტექციონისტური პოლიტიკა უნდა გაეტარებინა და მიედწია თავისი საგაჭრო ბალანსის დადებითი სალდოსთვის.

ინვესტიციების თეორიის გარკვეული განვითარება უკავშირდება ფიზიოკრატების ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს ფ. კენეს, ჟ. ტიურგოს, გ. რივიერას, თ. სიენსს და სხვ. საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბების წყაროებისა და ინვესტირების ობიექტის მიმართ მათი მიდგომა აქცენტირებული იყო ძირითადად მიწათმოქმედებაზე (ისინი უგულებელყოფენ სხვა დარგებს) და არა ვაჭრობაზე. სახელმწიფოსა და ცალკეული მეწარმეების პრიორიტეტულ საინვესტიციო პოლიტიკად მიაჩნდათ სახსრების დაბანდება ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში. ფიზიოკრატებმა პირველებმა დაუდეს სათავე საინ-

ზურაბ ვაშაქიძე
სტუ-ს პროფესორი
მარინა ღიასამიძე
სტუ-ს დოქტორანტი
ანა ვაშაქიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ვესტიციო კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ კაპიტალად.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში ა. სმიტმა და დ. რიკარდომ, აგრეთვე ჯ. მილმა, ჯ.ბ. სეიმ და თ. მალთუსმა მნიშვნელოვნად გაადრმავეს ინვესტიციების განხილვის არე. ამ სკოლის ეკონომისტებმა პირველად გამოიყენეს მკვეთრად ფულისა და კაპიტალის ცნებები, განსაზღვრეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში, განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში. საფუძველი ჩაეყარა ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის კვლევას. აღნიშნული სკოლის ყველაზე თვალსაჩინო გამოკვლევები და დასკვნები უკავშირდებოდა ბაზრის თვითრეგულირების პრინციპებს. ამასთან, მათი წარმომადგენლების შეხედულებები ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმის საკმარისობის შესახებ მეტისმეტად იდეალიზებული იყო. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენლების მიერ ფორმულირებული საზოგადოების ინვესტიციური მოდელის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები აღიარებულ იქნა მისი ყველა შემდგომი მკვლევრის მიერ. ამ ნიშნებმა დიდი გავლენა იქონია ინვესტიციების თეორიის შემდგომ განვითარებაზე. ა. სმიტმა პირველად ჩამოაყალიბა ის პირობები, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას.

ინვესტიციების თეორიის კვლევას მარქსისტული ეკონომიკური მოძღვრების სისტემაშიც განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი, თუმცა კვლევის ეს მიმართულება შემდგომი პერიოდის ეკონომისტების მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. კ. მარქსის მტკიცებით, ინვესტიციებზე არსებული მოთხოვნა შენარჩუნდება მანამ, სანამ დაბანდება სახსრები თუნდაც

მინიმალურ მოგებას მაინც მოიტანს. მარქსი საინვესტიციო აქტივობის მთავარ რეგულატორად მიიხედავდა მოგებას, რითაც უგულბებელყო საინვესტიციო პროცესზე სხვა ფაქტორების, მათ შორის სასესხო პროცენტის განაკვეთის გავლენა. ინვესტიციების მარქსისტული თეორიის თანახმად, ინოვაციური ინვესტირება, რომლის შედეგიცაა წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, კონკურენტულ უპირატესობათა აქტიური ფორმირების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

მარქსის კვლევებში შემდგომი პოზიტიური განვითარება პოვა ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის თეორიამ. მისი დასკვნების შესაბამისად, ამ პროცესის ორი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა - იმპორტიორ ქვეყნებში მეტი საინვესტიციო მოგების მიღების პოტენციური შესაძლებლობა და ექსპორტიორ ქვეყანაში დაგროვილი კაპიტალის სიჭარბე.

ინვესტიციების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესი უკავშირდება მარქინალისტების, კერძოდ კი ს. ჯევონსის, კ. მენგერის, ე. ბემ-ბავერკის, ფ. ვიზერის, ლ. ვალრასის და ჯ. კლარკის გამოკვლევებს. მათი ეკონომიკური პარადიგმის საფუძველს შეადგენდა ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომლის შემუშავებასაც ეკონომისტები რევოლუციურ მოვლენად აფასებენ. ეკონომიკური ანალიზის ზღვრული მეთოდის გამოყენებით მარქინალისტებმა გამოავლინეს ინვესტიციის რესურსებისა და საინვესტიციო საქონლის მოთხოვნასა და მიწოდებაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების სისტემა, რაოდენობრივად განსაზღვრეს წარმოების სხვა ფაქტორებთან ინვესტირებული კაპიტალის ურთიერთქმედების ფორმები, შემოიტანეს “ინვესტიციური საქონლის ზღვრული სარგებლიანობისა” და “ინვესტირებული კაპიტალის ზღვრული ნაყოფიერების” ცნებები. მათ შეიმუშავეს საინვესტიციო პროცესის მთელი რიგი ისეთი მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ მათეული ინვესტიციების თეორიის დასკვნები ცალკეული ინვესტირების სამეურნეო პრაქტიკაში. გარდა ამისა, მარქინალისტებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ინვესტიციების მიგრაციის თეორიაშიც. მათ ჩამოაყალიბეს ე.წ. “ვალრასის წესი” - განტოლება, რომელიც საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ბალანსს ინვესტირებული კაპიტალის მოძრაობის ბალანსთან აკავშირებს.

ინვესტიციების თეორიების ჩამოყალიბებაში გარკვეული ადგილი უჭირავთ ინსტიტუციო-

ნალიზმის წარმომადგენლებს, კერძოდ, თ. ვებლენს, ჯ. კომონს და სხვა თანამედროვე მკვლევარებს. მათი მიდგომების თავისებურებაა ინვესტიციის პროცესების ანალიზის ის მეთოდოლოგია, რომელიც სცილდება წმინდა ეკონომიკური პრობლემებისა და მეთოდების ფარგლებს და არსებითად შევსებულია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და სხვა პრობლემებით. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციონალიზმი ეყრდნობა არა ინვესტიციური ანალიზის ერთიან პრინციპებსა და მეთოდოლოგიას, არამედ იყენებს იმ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების მიდგომებს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ინვესტიციების თეორიის თანამედროვე სინთეზის დებულებები საინვესტიციო საქმიანობის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს. განვიხილოთ ინვესტიციების თანამედროვე კონცეფციები და მოდელები:

თანამედროვე პირობებში ინვესტიციის ბაზრის მართვის მაკროეკონომიკური მარეგულირებლებისა და მეთოდების გამოსავლენად, საჭიროა დასავლეთის თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და კონცეფციების შესწავლა, სადაც ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში. კაპიტალდაბანდებებს მთავარი ადგილი უჭირავს ციკლების თანამედროვე თეორიებში, ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონცეფციებში.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ნეოკლასიკოსების პოსტულატი დაგროვებისა და ინვესტირების იდენტურობის შესახებ, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ ა. სმიტიდან, როდესაც სმითი მიუთითებს, რომ ეკონომიკური ზრდის კარდინალური პრობლემა ინვესტიციური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი დანაზოგის უზრუნველყოფაა. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლებმა მოახდინეს კლასიკური და მარქინალისტური ინვესტიციის თეორიების სინთეზი. ნეოკლასიკური გაგებით დანაზოგისა და ინვესტიციის ოდენობა სამუშაო ძალის, სასესხო კაპიტალისა და შრომის პროდუქტების ბაზრების ერთობლივად ფუნქციონირებით განისაზღვრება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცენტის ზრდასთან ერთად დაგროვების სიდიდე ან უცვლელი რჩება, ან მატულობს. დანაზოგისა და ინვესტიციის გამოთანაბრების ნეოკლასიკური დოქტრინა ყველაზე სრულად დაამუშავა ზრდის რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა შევდმა ეკონომისტმა კ. ვიქსელმა, მისი აზრით თავდაპირველი ბიძგის-

გან დამოუკიდებლად მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისპროპორცია თავს იჩენს პროცენტის ფულად და რეალურ ნორმებს შორის განსხვავებაში, პირველი ყალიბდება სასესხო კაპიტალის ბაზარზე, ხოლო მეორე კი ემთხვევა მეურნეობის რეალურ სექტორში არსებული მოგების ნორმას. მეურნეობის ყველა სფეროსათვის საერთო პროცენტს, რომლის დროსაც დანაზოგები და ინვესტიციები ერთმანეთს უტოლდება, ვიქსელმა “ნორმალური” უწოდა.

ამგვარად, ნეოკლასიკოსების დოქტრინის თანახმად, ინვესტიცია გაიგივებულია დანაზოგთან, მათი სიდიდე კი მთლიანად დამოკიდებულია ეკონომიკურ სისტემაში არსებულ შიგა ფაქტორებზე. შესაბამისად, სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა სასურველი არ არის.

ინვესტიციების მაკროეკონომიკურ თეორიაში კარდინალური შემოზღუდვა მოახდინეს ეკონომიკური აზრის კეინზური მიმართულების წარმომადგენლებმა – ჯ. კეინზმა და მისმა მრავალრიცხოვანმა მიმდევრებმა. კეინზიანელების პარადიგმა ემყარება დასკვნებს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობისა და ინვესტიციების მოზიდვის პირობების აქტიური ჩამოყალიბების საჭიროების შესახებ. კეინზიანური თეორია აქცენტს აკეთებდა საინვესტიციო პროცესის რეგულირებაზე აქტიური და მიზანმიმართული ფისკალური და საკრედიტო პოლიტიკის ხარჯზე. საინვესტიციო საქმიანობა, თავის მხრივ, ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი უნდა გამხდარიყო, რომელიც გავლენას იქონიებდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის სიდიდეზე, მოსახლეობის დასაქმების ხასიათსა და ინფლაციის დონეზე. კეინზმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებიდან – ეროვნულ შემოსავალს, მოხმარებასა და დაზოგვას, კაპიტალის დაგროვებასა და ინვესტიციებს, ინვესტიციებსა და უმუშევრობას შორის ურთიერთკავშირის სისტემა.

კეინზიანური თეორიის დადებითი წვლილი უკავშირდება ინვესტიციების მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძვლების შემდგომ განვითარებასაც. ჯ. კეინზმა გვიჩვენა, რომ ფირმების ინვესტიციურ ქცევას მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: დაგროვების დონე, საინვესტიციო მოგების დონე და კრედიტების ბაზარზე არსებული პროცენტის ნორმა. ამავე დროს, აღნიშნული თეორია ითვალისწინებდა ფირმების საინვესტიციო ქცევის ქმედითი სახელმწიფოებრივი რეგულირება-

ისა და კონტროლის აუცილებლობას.

კეინზიანელები ინვესტიციებს ყოფენ წარმოებულ, ანუ ინდუცირებულ და ავტონომიურ ინვესტიციებად. წარმოებულ ანუ ინდუცირებული ინვესტიციების დინამიკა ჩვეულებრივ უკავშირდება ეკონომიკური სისტემის შინაგან ანუ ენდოგენურ ფაქტორებს. ამ ინვესტიციების ზრდა აიხსნება ეროვნული შემოსავლის ან სამომხმარებლო მოთხოვნის მოცულობაში მომხდარი ცვლილებებით, რაც შეეხება ავტონომიური ინვესტიციების დინამიკას მას გარეგანი, ანუ ეგზოგენური ფაქტორები განსაზღვრავს. აქ იმპულსი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური პროგრესი, ტექნიკური გადატრიალება, მოსახლეობის ზრდა, სახელმწიფოს პოლიტიკა და ა.შ. საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანებებმა ჯ. კეინზი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ინვესტიციების მოცულობის მატება მხოლოდ სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი.

ნეოკლასიკური იდეების აღორძინებას თანახლდა მონეტარიზმის ანუ იმ კონცეფციის პოზიციების მკვეთრად გაძლიერება, რომელიც ეკონომიკური მექანიზმების ფუნქციონირებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ფულად სფეროს ანიჭებს. მონეტარისტული კონცეფციის მომხრეები ძირითადად ეყრდნობიან საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების უნარს.

მონეტარისტები საბაზრო სისტემის წონასწორობის ნეოკლასიკური თეორიის თანმიმდევრული მომხრეები არიან და მხარს უჭერენ ჰიპოთეზას დანაზოგისა და ინვესტიციის იგივეობის შესახებ. ინვესტიციების მონეტარისტული თეორიის სუსტ მხარეებად თანამედროვე მკვლევარებს მიაჩნიათ მათ მიერ ეკონომიკის რეალური სექტორის როლის დაკნინება საინვესტიციო პროცესების ფორმირებაში. მონეტარისტების კონცეფციის თანახმად, ინვესტიციები დანაზოგების გარდასახული ფორმაა და იგი დამოკიდებულია ფულადი მასის ოდენობაზე. ისინი ფულზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სხვაობაში ხედავენ ინვესტიციების არასტაბილირობის მიზეზს. მათი აზრით, ფულის მოქმედება შეიძლება იყოს სტაბილურობის გამომწვევი, თუ შეიზღუდება სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობები და “ავტომატურ წესს” დაექვემდებარება მათი მოქმედება.

კეინზიანური და მონეტარისტული კონცეფციების შედარებით ანალიზი გვიჩვენებს მათში როგორც საერთო და განმასხვავებელი ნიშნების არსებობას. საერთო ტენდენციაა ის, რომ ორივე მათგანი ორიენტირებულია ინვესტირების პროცესში მოსახლეობის და არა მხოლოდ პროდუ-

ქციის უშუალო მწარმოებლების ფართო მონაწილეობაზე, განმასხვავებელი ნიშანი კი სახელმწიფო რეგულირების მეთოდების შერჩევაა.

საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდები შედარებით დახასიათება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგულირების ეფექტიანობას უმთავრესად განსაზღვრავს ინვესტიციის ბაზრის არსებული და მოსალოდნელი კონიუნქტურა. ინვესტიციების ბაზრის კონიუნქტურა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ინფლაციის ტემპებს, რაც ეკონომიკის დაბალანსებული დონის გაწონასწორების მთავარ ინდიკატორად გვევლინება. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ინფლაციის ტემპები, უმუშევრობის დონე და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები, შეიძლება გამოყენებული იქნას სახელმწიფოებრივი რეგულირების ესა თუ ის სისტემა, მათ შორის, ფულადსაქრედიტო და საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის განსხვავებული მეთოდები.

ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია. ინვესტიცია დოვლათის წარმოებისა და არა საბოლოო მოხმარებისათვის გამოხნული ხარჯების ნაკადია, რომელიც გამოიყენება ძირითადი კაპიტალის გადიდების ან შენარჩუნებისათვის. იგი მატერიალური, ტექნიკური, საფინანსო და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ინვესტიცია ნიშნავს აგრეთვე ობლიგაციების ან აქციების შეძენას რაიმე განსაზღვრული საფინანსო შედეგის მიღების მიზნით.

ცნობილია საინვესტიციო საქმიანობის ენციკლოპედიური ნაშრომის “ინვესტირების საფუძვლების” ავტორების ლ. გიტმანისა და მ. ჯონკის განმარტებები, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია – ეს კაპიტალის განთავსების ნებისმიერი ინსტრუმენტი, გათვლილი ხერხია კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის და შემოსავლის დადებითი სიდიდის მიღების მიზნით.

საინტერესოა ინვესტიციების არსის განსაზღვრა ინვესტიციების ტერმინოლოგიური ლექსიკონის მიხედვით: ინვესტიციები გამოყენებაა მეტი ფულის მისაღებად, შემოსავლის მიღება ან კაპიტალის ზრდა, ან ორივე ერთად.

ჯ. კეინის აზრით, ინვესტიცია შემოსავ-

ლის ის ნაწილია, რომელიც არ გამოიყენება მოხმარებისათვის. ივ. ბერნარისა და ჯ. კოლის ეკონომიკური ლექსიკონის მიხედვით, ინვესტიცია კაპიტალის დაბანდებაა მომავალში მისი გადიდების მიზნით.

საქართველოს კანონში “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” ინვესტიციად მიჩნეულია ყველა სახეობის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა, ან უფლება რომელიც დაბანდება და გამოიყენება მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ინვესტიციების განსაზღვრისას საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც რესურსების და დანახარჯების, ისე შემოსავლების მხარე. ვინაიდან ინვესტიცია, ერთი მხრივ, საწარმოს საქმიანობის შედეგია, ხოლო მეორე მხრივ – შემოსავლის ნაწილი, რომელიც ამ შემთხვევაში მოხმარებისათვის არ გამოიყენება.

მნიშვნელოვანია, რომ “ინვესტიციის” ცნებისადმი სხვადასხვა მიდგომის ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმია ამ მაჩვენებლის გაზომვის ხანგრძლივობის ასპექტი, შესაძლებელია თუ არა, ამ მაჩვენებლის გაზომვა დროის ფაქტორისგან დამოუკიდებლად, თუ შესაძლებელია ეს მარაგის კატეგორიაა და თუ არა მაშინ იგი იზომება დროის ჭრილში და ნაკადის კატეგორიას განეკუთვნება.

ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ტვეადი ცნებაა. იგი მოიცავს საინვესტიციო სფეროს ფუნქციონირებისა და რეგულირების კანონზომიერებების განმსაზღვრელ ელემენტებს. კერძოდ, სამეწარმეო საქმეში ჩადებული რესურსები და ფასეულობები, სადაც ინვესტიციები შემდეგი სახით შეიძლება განხორციელდეს:

- უძრავი და მოძრავი ქონება (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები);

- ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, კრედიტები, აქციები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები;

- საავტორო უფლებებიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები, ლიცენზიები, ნოუჰაუ, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობები;

- მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებები, აგრეთვე სხვა ქონებრივი უფლებები.

ინვესტიციების წინამძღვარი – დაგროვების კანონზომიერება განსაზღვრავს მის მოცულობასა და დინამიკას, მთელ საინვესტიციო საქმიანობას. საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებია:

- ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში

ახლადშექმნილი და მოდერნიზებული ძირითადი კაპიტალი და საბრუნავი სახსრები;

- ფასიანი ქაღალდები;
- ტექნოლოგიები;
- საკუთრების სხვა ობიექტები.

საინვესტიციო საქმიანობას ინვესტიციების გარდაქმნა უდევს საფუძვლად, რაც შემდეგ რგოლებს მოიცავს: რესურსები – დაბანდება (დანახარჯები), - კაპიტალური ქონება – შემოსავალი. ინვესტიციების გარდაქმნის ამგვარი რგოლების განხორციელების პრაქტიკა სწორედ საინვესტიციო საქმიანობაა (ინვესტირება). საინვესტიციო საქმიანობა საკუთრივ ინვესტირების გარდა მოიცავს კაპიტალის დაგროვების მოტივაციას და სტიმულებს, კაპიტალის დარგოვების და მართვის ურთიერთობებს, აგრეთვე დაბანდებაზე კაპიტალზე შემოსავლიანობის განსაზღვრული დონისა და კაპიტალის ზრდის მიზნების ერთობლიობას.

ინვესტიციების გარდაქმნების შესაბამისად, საინვესტიციო საქმიანობის შემდეგი ძირითადი ფაზები შეიძლება გამოიყოს:

პირველი, წინასაინვესტიციო ფაზა, რომელიც საინვესტიციო რესურსების ერთიანობას და ინვესტორებისათვის უფრო მომგებიანი ობიექტების ძიებას მოიცავს. ამ ფაზაში ინვესტორების მიზანი გამოიკვეთება, დაგროვებისადმი მოტივაციისა და სტიმულის დასაბუთება ხდება.

მეორე, საინვესტიციო ფაზა, როცა ხორციელდება რესურსების გარდაქმნა დაბანდებად. ეს საკუთრივ ინვესტირებაა, ე.ი. ინვესტიციების ტრანსფორმაცია საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებში.

მესამე, საექსპლუატაციო ფაზა, რომელიც კაპიტალური ღირებულების ზრდის მეტამორფოზას მოიცავს. იგი ინვესტიციების გარდაქმნის ბოლო პერიოდისა და ახალი სამომხმარებლო ფასეულობის წარმოქმნისთვისაა დამახასიათებელი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინვესტიციის ბაზრის რაობის დადგენისათვის ინვესტიციის კლასიფიკაციას.

სახსრების დაბანდების ობიექტების მიხედვით განასხვავებენ ინვესტიციის შემდეგ სახეებს:

- საფინანსო (პორტფელური) ინვესტიციები;
- რეალური ინვესტიციები (ინვესტიციები მატერიალურ აქტივებში);
- ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში.

საფინანსო ინვესტიციები ფულადი სახსრების დაბანდებაა აქტივებში, ობლიგაციებში, კერძო და კორპორაციული კომპანიების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ სხვა ფასიან

ქაღალდებში ან, როგორც მათ უწოდებენ საფონდო ფასეულობებში.

რეალური ინვესტიციები არის დაბანდება ძირითად კაპიტალსა და მატერიალურ-საწარმოო მარაგებში. ამ აზრით, ეს ცნება გამოიყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეროვნული ანგარიშების სისტემაში. რეალური ინვესტიციები შეიძლება შემდეგი სახით დაჯგუფდეს:

- წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად გამიზნული ინვესტიციები, რომელთა მიზანია ინვესტორის საწარმოო დანახარჯების შემცირება უფრო მაღალ წარმოებული მოწყობილობების შეცვლის გზით ან საწარმოო სიმძლავრეების უფრო ხელსაყრელი პირობების მქონე რეგიონში გადაადგილებით;

- ინვესტიციები გაფართოებულ კვლავწარმოებაში. ისინი რეალურ ეკონომიკაში პროდუქციის მოცულობის გადიდებასა და უკვე ათვისებულ ბაზრებზე მის მიწოდებას ემსახურება;

- ინვესტიციები ახალი წარმოების ან ახალი ტექნოლოგიების შექმნაში. ამგვარი ინვესტიციები უზრუნველყოფს ახალი საწარმოების შექმნას ან არსებული საწარმოების რეკონსტრუქციას. ისინი ან ახალი პროდუქციის გამოშვებისკენაა მიმართული ანდა ინვესტორს უქმნის შესაძლებლობას ადრე გამოშვებული პროდუქტებით ივაჭროს ახალ ბაზარზე;

- ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსგან მსხვილ დაკვეთებს.

რეალური ინვესტიციები მოიცავს მატერიალურად ხელშესახებ აქტივებში (მიწა, აღჭურვილობა, ქარხნები და მიწასთან მუდმივად “მიჯაჭვული” ყველა სხვა ობიექტი) განთავსებულ სახსრებს.

ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში გულისხმობს კაპიტალის დაბანდებას მეცნიერულ გამოკვლევებში, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნოლოგიის გამოსაყენებლად ლიცენზიების შეძენაში, ცნობილი ფირმების სავაჭრო მარკების გამოყენების უფლების მიღებაში და ა.შ.

საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (საბანკო, სადაზღვევო, და საშუამავლო ორგანიზაციები, საინვესტიციო ბირჟები და ა.შ.) იგი მთელ ინვესტიციურ ციკლზე ვრცელდება, რომელიც მოიცავს ინვესტიციების წრებრუნვას, ანუ ფულადი სახსრების აკუმულაციის მომენტიდან რეალურ ანაზღაურებამდე კაპიტალურ ქონებაში ავანსირებული ღირებულების მოძრაობას.

მატერიალური აქტივების კვლავწარმოების პროცესში საინვესტიციო საქმიანობა შეი-

ძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროების ხარჯზე: საკუთარი, ნასესხები, ინვესტორების მოზიდული სახსრები, ბიუჯეტური ასიგნებანი. წყაროთა სტრუქტურა დამოკიდებულია მოქმედი ან ახლადშექმნილი საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. ინვესტიციები შეიძლება არსებობდეს როგორც ფულადი და მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით, ისე ქონებრივი უფლებების, ინტელექტუალური პოტენციალის ფორმითაც. მატერიალური აქტივები წრებრუნვის პროცესში შეიძლება დაიყოს მოძრავ და უძრავ ქონებად. მოძრავი ფიზიკური კაპიტალის ელემენტებს მიეკუთვნება მოწყობილობები, მექანიზმები, საბრუნავი კაპიტალი. უძრავ ქონებას ძირითადი კაპიტალის პასიური ნაწილის ელემენტები.

საფინანსო აქტივებში ინვესტირება ხდება მათი შემოსავლიანობის ნორმებთან დამოკიდებულებაში. ფინანსური აქტივების მიხედვით შემოსავალი არსებობს დივიდენდის და პროცენტის სახით, რაც განისაზღვრება იმით, თუ ისინი რომელ კაპიტალს წარმოადგენენ – სამეწარმოს თუ სასესხოს.

საფინანსო აქტივებში ინვესტირების შემოსავლის წყაროა მოგების ნაწილი, რომელიც მიღებულია სამეწარმეო საქმიანობიდან კაპიტალური ქონების როგორც ინვესტიციების მატერიალიზებული ფორმის ფუნქციონირების შედეგი.

კონკრეტული ინვესტორის მოთხოვნა იქმნება შემდეგი ელემენტებით - განთავსებაზე მიმართული ინვესტიციები (ამორტიზაციის ფონდის ნაწილი, რომელიც მიმართულია ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებისთვის), ახალი ინვესტიციები (მოგების ნაწილი, რომლითაც ფორმირდება დარგობრივი ფონდი), რეინვესტიციები (აკუმულირებული დივიდენდი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვესტიცია გან-

საზღვრულია როგორც პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება რესურსების გარდაქმნა დანახარჯებად, ინვესტორის მიზნის – შემოსავლის (ეფექტის) მიღების გათვალისწინებით. ყველა ზემოთ განხილული განზოგადებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინვესტიცია ეს არის კაპიტალის ფორმის ცვლის დინამიკური პროცესი, პირველ (საწყისი) რესურსებისა და ფასეულობების თანმიმდევრობითი გარდაქმნა ინვესტიციურ დანახარჯებში და დაბანდებულ საშუალებათა გადაქცევა კაპიტალური ღირებულების ნამატში შემოსავლის ან სოციალური ეფექტის ფორმით. ინვესტიცია არის ფულადი ან რეალური კაპიტალის დაბანდება.

დასკვნა

უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და განვითარების თავისებურებები საქართველოში, განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები: ინვესტიციის თანამედროვე თეორიები და თავისებურებები; უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში და საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განთავსების სტრატეგია.

სტატიაში განხილულია თეორიული პრობლემები, რომლებიც ეკონომიკურ პროცესში ინვესტიციების როლს და საინვესტიციო საქმიანობისთვის აუცილებელი პირობებისა და მექანიზმების ფორმირებას უკავშირდება; კერძოდ, ეკონომისტების დაინტერესება ანტიკურ ხანაში ფულის ფუნქციებით, მისი დაგროვება, გამოყენების ხერხები და მიზნები; ასევე, ინვესტიციების არსის თეორიული გააზრების მცდელობები და შემდგომი ევოლუციის პროცესში მომდევნო თაობების მიერ მათი განვითარება.

THE MODERN THEORIES AND THE CHARACTERISTICS OF INVESTMENT

Z. VASHAKIDZE - professor of GTU

M. DIASAMIDZE - PhD student of GTU

A. VASHAKIDZE - PhD student of GTU

The article about the theoretical-methodological aspects of the foreign investments and the development peculiarities in Georgia, discusses main issues: the contemporary theories and peculiarities of the investments; the foreign investments' structure and dynamics in Georgia, and direct foreign investments placement strategy in Georgia's Economics.

The article discusses: theoretical problems in economical process, which are connected with the role of the investment, required conditions of the investments activities and mechanism formation; in particular, in antiquity the economists' interest in functions of money, the gathering, the methods of use and mission; also the attempts of the theoretical understanding of the investments and in the further evolutionary process its development by the next generation.